# ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. სენაკი 09/02/2013 წ.

ერთის მხრივ, შპს მაგთიკომი, თან. გიორგი ქავთარძე (შემდგომში გამყიდველი)
და მეორეს მხრივ,

ფიზიკური პირი

(პირადობის მოწმობის პირადი # (შემდგომში მყიდველი) ვდებთ
წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლა
(იურიდიული პირის ო.ს. ფორმა და სახელწოდება)

(საიდენტ. # 239885086

წარმოდგენილი ბიძინა ტაბაღუა სახით

1 ხელშეკრულების საგანი
წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს
შემდეგ Dual Band Modem (HSPA+CDMA) მოდემის აპარატ(ებ)ს:

Dual Band Modem (HSPA+/CDMA)

| | | |
|---|---|---|
| 1 | IMEI | 860398010313648 |
| 2 | ESN | 09324CED |
| 3 | SIM | 8999597280 536131958 |

(შემდგომში „საქონელი“).

2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ღირებულება შეადგენს 65 ლარს,დღგ-ს ჩათვლით.

2.2 მყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდა ხდება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

3 მხარეთა ვალდებულებები

3.1 გამყიდველი ვალდებულია, მყიდველის მიერ ხელშეკრულების ღირებულების გადახდის შემდეგ საკუთრებაში გადასცეს მას საქონელი და მე-4 მუხლში მითითებული პირობების შესაბამისად შეასრულოს საგარანტიო პირობები;

3.2 მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ღირებულება მე-2 მუხლშიმითითებული პირობების შესაბამისად;

3.3 მყიდველი ვალდებულია დაიცვას, საქონლის ინსტრუქციით და გამყიდველის მიერ განსაზღვრული, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ საქონლით სარგებლობის წესები.

4 საგარანტიო პირობები

4.1 საქონლის ხარისხი შეესაბამება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს, ვარგისია ინსტრუქციით გათვალისწინებული სარგებლობისათვის და არის ნივთობრივად უნაკლო.

4.2 გამყიდველი უზრუნველყოფს საქონლის გამოცვლას ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადის განმავლობაში, თუ არაადეკვატური ფუნქციონირება გამოწვეულია ქარხნული დეფექტით. ქარხნული დეფექტის პირობა არ გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც საქონელი გარეგნულად არის დაზიანებული.

4.3 გარანტია არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონლის არაადეკვატური ფუნქციონირების მიზეზებია: მექანიკური დაზიანება, წყლის ან აგრესიული სითხეების ზემოქმედება, საქონლის არასწორი ექსპლოატაცია და მოპყრობა ან მყიდველის ან მესამე პირთა დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებები.

5 ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6 პასუხისმგებლობა
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7 გარდამავალი დებულებები

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

8 მხარეები

| | |
|---|---|
| მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. #5 | მის: სენაკი სოფ.ეკი |
| გამყიდველის წარმომადგენელი | მყიდველი |
| ----------------------- | ----------------------- |